

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორგსერვისი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	8
4. ძირითადი საშუალებები	14
5. არამატერიალური აქტივი	15
6. ფულადი სახსრების.....	15
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	16
9. გრძელვადიანი სესხები	16
10. მოკლევადიანი სესხები	16
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
12. ამონაგები.....	17
13. თვითღირებულება	17
14. სხვა შემოსავლები	17
15. მიწოდების დანახარჯები	18
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	18
17. ფინანსური ხარჯი.....	18
18. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	19
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	19

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	559 338	574 166
არამატერიალური აქტივები	5	15 493	16 600
		574 832	590 766
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	6	20 168	74 182
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	61 652	111 808
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	1 007 037	890 730
წინასწარ გაწეული ხარჯები		8 908	5 031
		1 097 764	1 081 751
მთლიანი აქტივები		1 672 596	1 672 517
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		102 000	102 000
გაუნაწილებელი მოგება		380 076	373 457
		482 076	475 457
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	675 923	858 132
		675 923	858 132
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	325 232	70 194
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	178 984	264 272
დარიცხული ვალდებულებები		10 381	4 462
		514 597	338 928
მთლიანი ვალდებულებები		1 190 520	1 197 060
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1 672 596	1 672 517


ხვიჩა ნემსაძე
დირექტორი


ჯურაბი ნიქაზაძე
ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	559 338	574 166
არამატერიალური აქტივები	5	15 493	16 600
		574 832	590 766
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	6	20 168	74 182
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	61 652	111 808
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	1 007 037	890 730
წინასწარ გაწეული ხარჯები		8 908	5 031
		1 097 764	1 081 751
მთლიანი აქტივები		1 672 596	1 672 517
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		102 000	102 000
გაუნაწილებელი მოგება		380 076	373 457
		482 076	475 457
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	675 923	858 132
		675 923	858 132
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	325 232	70 194
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	178 984	264 272
დარიცხული ვალდებულებები		10 381	4 462
		514 597	338 928
მთლიანი ვალდებულებები		1 190 520	1 197 060
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1 672 596	1 672 517

ხვიჩა ნემსაძე
დირექტორი

ზურაბი ნიქაბაძე
ბუღალტერი

სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018
ამონაგები	12	2 814 101
თვითღირებულება	13	(1 824 685)
საერთო მოგება		989 416
სხვა შემოსავლები	14	26 512
მიწოდების დანახარჯები	15	(23 474)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(844 957)
საოპერაციო მოგება		147 496
ფინანსური ხარჯი	17	(100 320)
მოგება დაბეგვრამდე		47 176
მოგების გადასახადი		(3 715)
წმინდა მოგება		43 461
მთლიანი სრული შემოსავალი		43 461

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვარი	102 000	373 457	475 457
გაცემული დივიდენდი	-	(36 842)	(36 842)
წმინდა მოგება	-	43 461	43 461
2018 წლის 31 დეკემბერი	102 000	380 076	482 076

ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
გაყიდვებიდან მიღებული ფულადი ნაკადები	3 308 801
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2 453 420)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(359 614)
გადახდილი გადასახადები	(451 816)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	43 951
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	1 175 533
სესხის ძირის გადახდა	(112 692)
სესხის პროცენტის გადახდა	(93 394)
სესხის ჯარიმის გადახდა	(13 208)
დივიდენდის გადახდა	(35 000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(92 991)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა კლება	(49 040)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	74 182
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(4 974)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	20 168

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ორგსერვისი“-სათვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ორგსერვისი“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში, რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 26/07/1996 წელს, ს/კ - 212693851.

საწარმოს 100% წილის მფლობელია ბატონი ხვიჩა ნემსაძე.

საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის, 51. საწარმო საქმიანობას ანხორციელებს საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, კერძოდ ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის, 51, წერეთლის გამზ. #4/4ა, თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. #28, აღმაშენებლის გამზ. #86/90, ფოთში, აღმაშენებლის გამზ. #37. მის ძირითად საქმიანობას წამოადგენს ვაჭრობა, საოფისე, საკანცელარიო, სასკოლო და სამხატვრო პროდუქციის რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 35-ე მუხლის „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მოთხოვნების მხოლოდ ნაწილის შესრულებით. კერძოდ საწარმომ იხელმძღვანელა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემულ სარეკომენდაციო მითითებით, მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით. საწარმომ გამოიყენა ზემოთ აღნიშნული სარეკომენდაციო მითითების გამარტივებული მიდგომა და მოამზადა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის დასაწყისისათვის და დასასრულისათვის, 2018 წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები. მსს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესადარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდისათვის. შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშგება არ წარმოადგენს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის თანახმად. საწარმო მსს ფასს-ით სრულ ფინანსური ანგარიშგებას მოამზადებს 2019 წლის 31 დეკემბრისათვის.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტის პირველად გამოყენება.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშის შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე, საწარმოს რაიმე სახის ფინანსური ანგარიშგება არ მოუმზადებია. მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლამდე, საწარმოს აღრიცხვა გარკვეულწილად საგადასახადო რეგულირებას ეფუძნებოდა. ამრიგად, თუ რა გავლენა იქონია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლამ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე არ არის წარმოდგენილი აღნიშნულ ფინანსურ ინფორმაციაში.

რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება

მის ფასს-ზე გადასვლის დროს საწარმომ გამოიყენა სტანდარტის 35-ე მუხლით დაშვებული გამონაკლისი, ძირითადი საშუალებების გარკვეული ნაწილისათვის და მათი შეფასება მოახდინა რეალური ღირებულებით. საწარმომ ეს რეალური ღირებულება მიიჩნია მის დასაშვებ საწყის ღირებულებად მის სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდალურ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდით. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მის ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტიური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება.

სასესხო ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულება.

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (**გარიგების დანახარჯების ჩათვლით**, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება**გაუფასურების აღიარება და შეფასება**

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ცალ-ცალკე აფასებს გაუფასურებას შემდეგი ფინანსური აქტივებისთვის:

- (ა) ყველა წილობრივი ინსტრუმენტი, მათი მნიშვნელობის მიუხედავად; და
- (ბ) სხვა ფინანსური აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორიცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), საწარმომ უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდე- ბულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმო ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს საქონლის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და

სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონელის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

- შენობა - 25 წ
- ოფისის აღჭურვილობა - 3-5 წ
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 3-5 წ
- სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწვევითანავე.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: პროგრამული უზრუნველყოფისათვის 15 წელი.

3.10 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორების მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორების გადაწყვეტილებით.

3.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობები-სა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

3.13 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის

შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ქვემოთ მოცემულია წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო გაცვლითი კურსები:

	საშუალო განაკვეთი		სპოტ განაკვეთი ანგარიშსწორების თარიღისათვის	
	2018	2017	2018	2017
1 აშშ დოლარი	2.5345	2.5095	2.6766	2.5922
1 ევრო	2.9913	2.8322	3.0701	3.1044

3.14 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში

3.15 იჯარა

ოპერაციული იჯარა. როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.16 შეფასებები საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას

საწარმო აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავენ:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება საწარმოს მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.17 ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთერთდაკავშირებულ მხარეებთან მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ანგანახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების 2018 წლის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება						
01 იანვარი 2018	139 938	338 952	15 780	38 250	74 244	607 164
შემოსვლა	-	-	3 700	13 261	-	16 961
31 დეკემბერი 2018	139 938	338 952	19 480	51 511	74 244	624 125
ცვეთა და გაუფასურება						
01 იანვარი 2018	-	19 264	-	-	13 734	32 998
პერიოდის ცვეთა	-	13 558	3 155	7 650	7 424	31 788
31 დეკემბერი 2018	-	32 822	3 155	7 650	21 159	64 786
წმინდა საბალანსო ღირებულება						
01 იანვარი 2018	139 938	319 688	15 780	38 250	60 510	574 166
31 დეკემბერი 2018	139 938	306 130	16 325	43 861	53 086	559 338

მიწის ნაკვეთი 139 938 ლარის და შენობები 306 130 ლარის საბალანსო ღირებულებებით დატვირთულია იპოთეკით შენიშვნა 9 - ში გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად.

2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებებიდან: მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ავეჯი და სხვა ინვენტარი, ოფისის აღჭურვილობი და სატრანსპორტო საშუალებები შეფასებულია რეალური ღირებულებებით, რომელიც მიჩნეულია მათ დასაშვებ საწყის ღირებულებად.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივების 2018 წლის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
საწყისი ღირებულება		
01 იანვარი 2018	16 600	16 600
31 დეკემბერი 2018	16 600	16 600
ცვეთა და გაუფასურება		
01 იანვარი 2018	0	0
პერიოდის ამორტიზაცია	1 107	1 107
31 დეკემბერი 2018	1 107	1 107
წმინდა საბალანსო ღირებულება		
01 იანვარი 2018	16 600	16 600
31 დეკემბერი 2018	15 493	15 493

საწარმოს შეძენილი აქვს საბუღალტრო პროგრამა „1C“, რომელიც აღრიცხული აქვს სხვა არამატერიალური აქტივების ჯგუფში. საწყისი აღიარების შემდგომ საწარმო მის შეფასებას ახდენს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. მომსახურების ვადა განსაზღვრულია 15 წელი.

6. ფულადი სახსრების

საწარმოს ფულადი სახსრები გააჩნია როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში. სალაროს და საბანკო ანგარიშების ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

	2018
ნაღდი ფული სალაროში ლარი	9 077
ნაღდი ფული სალაროში USD	104
ნაღდი ფული სალაროში EUR	2 043
სულ ნაღდი ფული სალაროში	11 224
ფული საბანკო ანგარიშებზე ლარი	8 474
ფული საბანკო ანგარიშებზე USD	296
ფული საბანკო ანგარიშებზე EUR	174
სულ ფული საბანკო ანგარიშებზე	8 944
სულ	20 168

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
სავაჭრო მოთხოვნები	90 565
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი შენიშვნა 18	2 347
<i>საექვო მოთხოვნების კორექტირება</i>	<i>(31 260)</i>
სულ	61 652

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს დაკავშირებული მხარისადმი მოთხოვნას, რომელიც საქონლის რეალიზაციის შედეგად არის წარმოქმნილი.

საწარმო საექვო ვალების დარეზერვებას ანხორციელებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მეთოდით.

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
საქონელი	1 006 718
ნედლეული და მასალები	319
სულ	1 007 037

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 1 824 685ლარი.

9. გრძელვადიანი სესხები

საწარმოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
საბანკო სესხი	675 923
სულ	675 923

საბანკო სესხი გაცემულია ერთი გენერალური ხელშეკრულების ქვეშ სამ დამატებით სესხის ხელშეკრულებად, მომსახურე ბანკი სს პროგრედიტ ბანკი. გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ვალდებულება იხილეთ **შენიშვნა 10-ში**.

ინფორმაცია სესხებზე მოცემული ექვივალენტში:

ვალუტა	ნაშთი ექვივალენტი ლარი	%	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი
USD	267 472	7%	22.11.2018	22.11.2019
USD	117 309	7%	29.11.2018	22.11.2021
USD	482 919	7%	29.11.2018	22.11.2021

ჯამი 867 700

მოცემული სესხების მიმდინარე ნაწილი 191 777 ლარი (867 700-675 923) იხილეთ **შენიშვნა 10 - ში**.

მოცემული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის კუთვნილი სამი უძრავი ქონებით იხილეთ **შენიშვნა 4** , ასევე დამფუძნებლის და მისი ოჯახის წევრის კუთვნილი პირადი უძრავი ქონებებით.

10. მოკლევადიანი სესხები

საწარმოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	191 777
სესხი დაკავშირებული ფიზიკური პირისაგან შენიშვნა 18	133 455
სულ	325 232

საწარმოს სესხი მიღებულიაქვს დაკავშირებული ფიზიკური პირისაგან ორ ვალუტაში EUR- სა და USD-ში, EUR- ში სესხის ვადა განსაზღვრულია ერთი წლის ვადით, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 24 %-ს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 62 323 ლარს. USD - ში სესხის ვადა განსაზღვრულია ერთი წლის ვადით, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 24 %-ს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 71 132 ლარს.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	117 100
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან შენიშვნა 18	140
მიღებული ავანსები	6 409
გადასახდელი ხელფასები	10 443
გადასახდელი ხელფასი დაკავშირებული პირებიდან შენიშვნა 18	1 068
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3 324
საიჯარო ვალდებულება დაკავშირებული მხარეებისადმი შენიშვნა 18	40 500
სულ	178 984

12. ამონაგები

საწარმოს ამონაგები მოიცავს საოფისე, საკანცელარიო, სამხატვრო და სასკოლო პროდუქციის რეალიზაციას. 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში მთლიანი ამონაგებიდან საოფისე, საკანცელარიო, სამხატვრო და სასკოლო პროდუქციის რეალიზაციამ შეადგინა:

	2018
შემოსავალი პროდუქციის რეალიზიციიდან	2 814 101
სულ	2 814 101

13. თვითღირებულება

საწარმო თვითღირებულებით საქონლის ჩამოწერას აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდის ფორმულით. თვითღირებულება მოიცავს საქონლის შეძენის და ტრანსპორტირების ღირებულებას - 1 824 685 ლარს.

	2018
გაყიდული საქონელი	1 824 685
სულ	1 824 685

14. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
კურსთაშორისი სხვაობის მოგება	9 010
კონვერტაციის შედეგი (მოგება)	2 605
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14 897
სულ	26 512

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 14 897 ლარი შეადგენს მომწოდებლიდან უსასყიდლოთ მიღებულ ძირითად საშუალებებს.

15. მიწოდების დანახარჯები

საწარმო 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიწოდების დანახარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
რეკლამის ხარჯები	(7 860)
საწვავის ხარჯი	(15 118)
მიწოდების სხვა ხარჯები	(496)
სულ	(23 474)

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
შრომის ანაზღაურება	456 267
საიჯარო ხარჯი	148 146
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	15 167
კომუნიკაციის ხარჯები	18 908
ძირითადი საშუალების ცვეთა	31 260
მივლინების ხარჯი	8 288
საკონსულტაციო ხარჯები	33 085
ტერმინალის საკომისიო	11 498
საბანკო საკომისიოს ხარჯი	7 688
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	52 807
კონვერტაციის შედეგი (ზარალი)	9 968
გამოუქვითავი ხარჯები	13 401
დაცვის ხარჯი	5 683
საკანცელარიო ხარჯი	13 999
სხვა საერთო ხარჯი	18 794
სულ	844 957

17. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი წმინდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
საპროცენტო ხარჯები	100 320
სულ	100 320

საპროცენტო ხარჯი შედგება გრძელვადიანი **შენიშვნა 9** და მოკლევადიანი **შენიშვნა 10** სესხებზე გადახდილი პროცენტებისგან.

18. საბალანსო ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

	დაკავშირებული მხარეები	ხელმძღვანელობა
ურთერდაკავშირებული მხარეებიდან მოსათხოვი თანხები	2 473	2 578
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 473	2 578
ურთერდაკავშირებული მხარეებზე გადასახდელი თანხები	1 207	173 955
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 207	173 955

ტრანზაქციები, შემოსავალი და ხარჯი ურთერდაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის განმავლობაში არის შემდეგი:

	დაკავშირებული მხარეები	საკვანძო ხელმძღვანელობა
შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითირებულება	(3 815)	1 469
ამინაგები	125	1 469
თვითირებულება	(3 940)	-
ხელფასები და სხვა ანაზღაურებები	69 392	124 959
ხელფასი	32 550	124 959
დივიდენდი	36 842	-
პროცენტი	-	10381

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საწარმომ 2019 წლის 30 იანვარს აიღო სასესხო ვალდებულება 174 700 ევრო, სესხის მიზნობრიობას წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა სავაჭრო ობიექტისათვის ქ. ბათუმში. უძრავი ქონება შეძენილ იქნა 2019 წლის 31 იანვარს, უძრავი ქონების ღირებულების შეძენისა და კეთილმოწყობის დანახარჯი იყო 450 444 ლარი.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გაცა 2019 წლის 26 სექტემბერს.